

ტესტი სტუდენტების საბრანტო კონკურსისათვის

ტესტი შედგება სამი ნაწილისაგან:

1. წაკითხულის გააზრება – 21 ტესტური დავალება.
2. ლოგიკური მსჯელობა – 14 ტესტური დავალება.
3. რაოდენობრივი მსჯელობა – 7 ტესტური დავალება.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0, 2 ქულა (ანუ იწერება -0, 2 ქულა).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 42.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი და 35 წუთი. ტესტის ნაწილების შესრულების თანმიმდევრობას არა აქვს მნიშვნელობა.

გისურვებთ წარმატებას!



წაკითხულის გააზრება

21 შეკითხვა

ტექსტი №1

ქართველ მთიელთა სოციუმის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა სახალხო კრება, რომელსაც, საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტისას, როგორც ყველაზე უფრო ავტორიტეტულს, საბოლოო სიტყვა ენიჭებოდა. ვინაიდან სახალხო კრება ხალხის მონაწილეობას გულისხმობს, ამდენად იგი დემოკრატიის ნიშნების მქონეა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თუ რა მიმართება შეიძლება არსებობდეს ქართველ მთიელთა ე. წ. დემოკრატიასა და ბერძნულ-რომაულ, ანუ ათენისა და რომის დემოკრატიას შორის. ამ შედარების საფუძველზე გვინდა წარმოვაჩინოთ, დემოკრატიის პრინციპებიდან, ერთი შეხედვით, ესოდენ დაშორებულ გარემოში რა ფორმით იყო დაშვებული საზოგადოების ცხოვრებაში ხალხის მონაწილეობა.

ათენში მმართველობის უმაღლეს ორგანოდ სახალხო კრება მიიჩნეოდა, რომელიც, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, შედგებოდა 30 წელს გადაცილებული სრულუფლებიანი მოქალაქეებისაგან. კრებაზე დასწრება შეეძლოთ, მაგრამ ხმის უფლება არ ჰქონდათ მოქალაქეობამიღებულ 20-დან 30 წლამდე ახალგაზრდებს. თუმცა არისტოტელეს დროს ამ სიაში 18 წლის ის მამაკაციც შეჰყავდათ, რომელიც ორწლიან სამხედრო სამსახურს გაივლიდა. ამით იღებდა ის მოქალაქეობის უფლებას. კრება არ სცნობდა მეტეკებს (ათენში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს). ძნელია ათენის სახალხო კრების მონაწილეთა რიცხვის დადგენა, მეცნიერთა გამოთვლით, ეს რიცხვი 20-30 ათას მოქალაქეს შორის მერყეობდა. შესაძლებელი იყო, სხვადასხვა მიზეზის გამო, ცალკეული პიროვნებისთვის სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლება ჩამოერთმიათ. კრებიდან გაძევების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო: ხაზინის ვალი, ამორიცხვა დემოსის რეესტრიდან, პროსტიტუცია, მშობლების უპატივცემულობა, მათ შენახვაზე უარის თქმა და სხვ.

რაც შეეხება საქართველოს მთიანეთს, სვანეთსა თუ ხევსურეთში კრებაში მონაწილეთა ასაკი არ ყოფილა განსაზღვრული. როდესაც საქმე სათემო ყრილობას შეეხებოდა, კომლზე თითო მამაკაცი ვალდებული იყო, გამოცხადებულიყო კრებაზე, რაც არ უნდა პირადი საქმე ჰქონოდა. ათენის სახალხო კრებისგან განსხვავებით, სადაც ქალებს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა ეკრძალებოდათ, სვანეთში მათაც ჰქონდათ კრებაზე დასწრების უფლება. მეტიც, თუ ოჯახში ქალი სიბრძნით გამოირჩეოდა, უპირატესობაც მას ენიჭებოდა. თუმცა, ეს მხოლოდ სვან ქალებზე ვრცელდებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, ხევსური ქალების მდგომარეობა მძიმე იყო (მაგ., ხევსურ ქალს ეკრძალებოდა ცხენზე ჯდომა, ის ფეხით მიჰყვებოდა ამხედრებულ მამაკაცს).

ტექსტის გაგრძელება ->

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

რომში სახალხო კრების, ანუ კომიციის რამდენიმე ტიპი არსებობდა: კურიის, ცენტურიისა და ტრიბის კრებები. კურიის კრება სახალხო კრების უძველეს ფორმას წარმოადგენდა. არსებობდა 30 კურია, რომლებიც სამასი გვარისაგან შედგებოდა. თითოეულ კურიას თითო ხმა ჰქონდა. ფაქტობრივად, სვანეთის მსგავსად, კრებებზე მთელი რომელი ხალხი იღებდა მონაწილეობას. ცენტურიის კრება ეწოდებოდა სახალხო კრებას რომის იმ მოქალაქეებისა, რომლებსაც ჯარში სამსახურის უფლება ჰქონდათ. რომის მოსახლეობა კლასებად დაყოფილი იყო ქონებრივი ცენზის მიხედვით. თითოეულ კლასს ჰქონდა ვალდებულება, გამოეყვანა განსაზღვრული რაოდენობის ცენტურია – საჯარისო ასეული. სულ 193 ცენტურია იყო. ცენტურიის კომიციაზე ასაკით უფროსი მოქალაქეების ხმას დიდი წონა ჰქონდა. მოგვიანებით შეიქმნა უკვე ტრიბის კრება, თავისი დამოუკიდებელი არჩევნებითა და თანამდებობის პირებით, რომელიც გაცილებით უფრო მეტად დემოკრატიულ ორგანოს წარმოადგენდა. მის ფუნქციებში შედიოდა: ქალაქის მომარაგებისა და კეთილმოწყობის საკითხები, სახალხო ტრიბუნების არჩევა და სასამართლო უფლებამოსილება სისხლის სამართლის კუთხით.

ათენის სახალხო კრება, ტრადიციულად, **პნიქსის ბორცვის** წვერზე, ღია ცის ქვეშ იმართებოდა. ამიტომ წვიმის, ჭექა-ქუხილის, დაღამების შემთხვევაში გარდაუვალი იყო მეორე დღისთვის მისი გადადება. შეხვედრის დღეს სპეციალურად დანიშნული მოხელეები ბორცვის ასასვლელთან ჯებირებს დგამდნენ, რათა კრების წევრები გაემიჯნათ იმ მოქალაქეებისაგან, რომლებიც კრების საყურებლად და მოსასმენად იყვნენ შეკრებილნი. ცალკეულ შემთხვევებში სახალხო კრება დიონისეს ტაძარშიც იმართებოდა. რომში კრების მოწვევის ადგილი **მარსის ველი** იყო. კომიციები მხოლოდ კომიციურ დღეებში ტარდებოდა, რომლებსაც ქურუმები ადგენდნენ. წელიწადში დაახლოებით 190 ასეთი დღე იყო.

საქართველოს მთიანეთში კი საგანგებოდ სახალხო კრებისთვის ერთი კონკრეტული ადგილი არ არსებობდა. ზოგადად, ხალხის შესაკრებად განკუთვნილი იყო სასოფლო მოედნები, რომელთაც რაჭაში **სანახშოს** უწოდებდნენ, თუშეთში – **საანჯმნოს**, ხევსურეთში **საფიხვნოს**, ხევში – **საერობოს**, აჭარაში – **ჯამიკარს**, სვანეთში – **სვიფებს**, ასევე, დაღესტანში – **ჯამაათს**, ოსეთში – **ნიხასს**. როგორც ჩანს, სასოფლო მოედნები სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო ზოგადად კავკასიის მთიანეთში. როგორც წესი, შეკრების ეს ადგილები ნახევრად ღია ნაგებობას წარმოადგენდა და კრება, ძირითადად, შემალღებულ გარემოში იმართებოდა, იქნებოდა ეს სოფლის ცენტრი (სვანეთში), თუ ადგილი სოფლის გარეთ (ფშავ-ხევსურეთში), სადაც მოსახლეობა ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის მოსაგვარებლად იკრიბებოდა.

ტექსტის გაგრძელება ->

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

მეცნიერები სვანეთში რამდენიმე ტიპის სახალხო კრების არსებობას ადასტურებენ. ერთი კონკრეტული სოფლის ყრილობას უწოდებდნენ **სოფლობას**, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოფლის **მახვში**. ამ კრებაზე მხოლოდ იმ ერთი სოფლის საჭირბოროტო საკითხები წყდებოდა. თუმცა, **რ. ხარაძის** ცნობით, სოფლის შიგნით არსებული საქმეების მოსაწესრიგებლად და ჩადენილი დანაშაულის გამოსააშკარავებლად სოფელი თავის ყრილობაზე საგანგებოდ ირჩევდა ხევსთავს სამი წლის ვადით. სოფელი ირჩევდა ერთ ან მეტ ხევსთავს იმის მიხედვით, თუ რა სიდიდის იყო ის. არსებობდა, ასევე, **სათემო ყრილობა**, რომელიც რამდენიმე სოფლის კავშირს შეადგენდა და მასაც ჰყავდა თავისი თემის მახვში. სათემო ყრილობის მიერ არჩეული მახვში საჭიროების მიხედვით იწვევდა ყრილობას. მას წინასწარ ცალკე გაჰყავდა ჭკვიანი, გამოცდილი, პატიოსანი პირები, მათთან თათბირობდა და გამოჰქონდა დასკვნა, რასაც შემდეგ გააცნობდა ყრილობას, რომელიც ან ადასტურებდა მის აზრს, ან ცვლილება შეჰქონდა, ან არ ეთანხმებოდა და არღვევდა მას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ **სტრაბონს** აქვს ცნობა, რომ სვანეთს 300 კაცისგან შემდგარი **საბჭო** განაგებდა. **ს. ჯანაშია** და **რ. ხარაძე** აზუსტებენ, რომ სტრაბონი გვაროვნულ საფეხურზე შექმნილ სახალხო საბჭოსა და სახალხო კრებას გულისხმობდა. შემდეგდროინდელ საბჭოში კი უკვე შედიოდნენ სოფლის თემების მიერ გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლები, რომელთაც ლგთიმ მარეს (ჩენილებს) უწოდებდნენ. ისინი **სახევო ყრილობას** ხელმძღვანელობდნენ და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო ხდებოდა. სახალხო სამართლის წარმოება, საოჯახო საქმეებისა თუ სხვა რაიმე საკითხების მოგვარება მათი უშუალო მოვალეობა იყო. სამ წელიწადში ერთხელ მთელ ხევს ფიცი უნდა დაედო ხევს ერთგულებასა და არჩეული კაცების მიერ გადაწყვეტილების მიღების ნდობაზე.

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს უფრო ზუსტად და მართებულად ავტორის მთავარ მიზანს?

- (ა) ქართველ მთიელთა სოციუმის ცხოვრებაში სახალხო კრების მნიშვნელოვანი როლის დადასტურება სათანადო მაგალითებით.
- (ბ) ბერძნულ-რომაულ დემოკრატიაში ხალხის მონაწილეობის სხვადასხვაგვარი ფორმის აღწერა და ერთმანეთთან შედარება.
- (გ) ზოგადად სახალხო კრების, როგორც ინსტიტუტის, დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა.
- (დ) ფაქტების წარმოდგენა კავკასიის მთიანეთში სახალხო კრების როლის წარმოსაჩენად.
- (ე) მასალების გაცნობა ბერძნულ-რომაულსა და ქართველ მთიელთა სახალხო კრებებს შორის მიმართების აღმოსაჩენად.

2. რომელი დასკვნაა მართებული ტექსტის მიხედვით?

- I. ათენისაგან განსხვავებით, რომში სახალხო კრების რამდენიმე ტიპი არსებობდა.
- II. მკვლევართათვის ცნობილია ათენის სახალხო კრებიდან პირის გამეფების მიზეზები.
- III. ათენში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს სახალხო კრებაში მონაწილეობის ნებართვაც ჰქონდათ.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ I და II
- (დ) მხოლოდ I და III
- (ე) მხოლოდ II და III

3. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ათენის პრაქტიკაში ორწლიანი სამხედრო სამსახურის გავლა ახალგაზრდისათვის მოქალაქეობის უფლების მიღების საფუძველი იყო.
- (ბ) საქართველოს მთიანეთში ქალთა უფლებები ამა თუ იმ კუთხის მიხედვით მკვეთრად განსხვავდებოდა.
- (გ) მოქალაქის მიერ მშობლების უპატივცემულობა, მათ შენახვაზე უარის თქმა ათენში საგანგებო სასჯელს იმსახურებდა.
- (დ) მკვლევრები რომის სახალხო კრების უძველეს ფორმად კურიის კრებას მიიჩნევენ.
- (ე) რომისგან განსხვავებით, ათენის მოსახლეობა კლასებად დაიყო ქონებრივი ცენზის მიხედვით.

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გადმოსცემს მართებულად საქართველოს მთიანეთის მიმართებას ბერძნულ თუ რომაულ სამართლებრივ პრაქტიკასთან?

- I. სახალხო კრებებზე მთელი რომაელი ხალხი იღებდა მონაწილეობას, ისევე, როგორც საქართველოს მთელ მთიანეთში.
- II. საქართველოს მთიანეთში, ათენისა და რომისაგან განსხვავებით, საგანგებოდ სახალხო კრებისთვის განკუთვნილი ერთი კონკრეტული ადგილი არ არსებობდა.
- III. სახალხო სამართლის წარმოება, რაც რომში ტრიბის კრებისა და ტრიბუნების ფუნქცია იყო, სვანეთში სახევო ყრილობასა და ჩენილებს ევალებოდათ.
- IV. საქართველოს მთიანეთში, ათენის მსგავსად, სახალხო კრებაში მონაწილეთა ასაკი მკაცრად იყო დადგენილი.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I და II
- (ბ) მხოლოდ II და III
- (გ) მხოლოდ II და IV
- (დ) მხოლოდ III და IV
- (ე) მხოლოდ I, III და IV

5. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ დასტურდება ტექსტის მიხედვით?

- (ა) ათენში, როგორც წესი, სახალხო კრება დიონისეს ტაძარში იმართებოდა.
- (ბ) რომის იმ მოქალაქეების სახალხო კრებას, რომლებსაც ჯარში სამსახურის უფლება ჰქონდათ, ცენტურიის კრება ეწოდებოდა.
- (გ) რომის ოცდაათი კურია სამასი გვარისაგან შედგებოდა, ხოლო თითოეულ კურიას თითო ხმა ჰქონდა.
- (დ) თუ ათენში სახალხო კრება ღია ცის ქვეშ იმართებოდა, წვიმის, ჭექა-ქუხილისა თუ დაღამების შემთხვევაში გარდაუვალი ხდებოდა მისი გადადება.
- (ე) ცნობილია, რომ რომში ცენტურიის კომიციაზე ასაკით უფროსი მოქალაქეების ხმას დიდი წონა ჰქონდა.

6. ტექსტის მიხედვით, მართებულია დავასკვნათ, რომ

- (ა) ხაზინის ვალი და დემოსის რეესტრიდან ამორიცხვა ძველ რომში დააწესეს სახალხო კრებიდან გამევეების მიზეზებად.
- (ბ) როგორც ათენში, ასევე ქართველ მთიელთა სოციუმშიც, კერძოდ, სვანეთში, ქალებს სახალხო კრებაზე დასწრების უფლება ჰქონდათ.
- (გ) მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ათენის სახალხო კრების მონაწილეთა რაოდენობა 20 ათასს არ აღემატებოდა.
- (დ) რომის მოსახლეობის ყოველი კლასი, მისივე ქონებრივი ცენზის შესაბამისად, ვალდებული იყო, სათანადო რაოდენობის საჯარისო ასეული ჰყოლოდა.
- (ე) ათენის სახალხო კრების გადაწყვეტილებათა მოსმენა მხოლოდ კრების მონაწილეებს შეეძლოთ.

7. ავტორი სხვადასხვა ინფორმაციას გვაწვდის სახალხო კრებების გამართვის ადგილთა შესახებ. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მართებული?

- (ა) პნიქსის ბორცვის წვერი ბერძენთა სახალხო კრების გამართვის ტრადიციული ადგილი იყო.
- (ბ) ცნობილია, რომ რომაელთა სახალხო კრებები მარსის ველზე იმართებოდა.
- (გ) საქართველოს მთიანეთში სახალხო კრების ადგილად, ძირითადად, შემაღლებულ გარემოს ირჩევდნენ.
- (დ) ფშავ-ხევსურები სახალხო კრებებს სოფლის გარეთ ატარებდნენ, ხოლო სვანეთში სოფლის ცენტრს არჩევდნენ.
- (ე) როგორც წესი, სახალხო კრება ღია ცის ქვეშ იმართებოდა, მხოლოდ რომაელები მართავდნენ მას ნახევრად გადახურულ შენობაში.

8. ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს მართებულად მეცნიერთა მოსაზრებებს?

- I. ს. ჯანაშია ადასტურებს სტრაზონის ცნობას სვანეთში სახალხო საბჭოს არსებობის შესახებ და შენიშნავს, რომ სტრაზონი გვაროვნულ საფეხურზე არსებულ საბჭოს უნდა გულისხმობდეს.
- II. რ. ხარაძის აზრით, სტრაზონის მიერ მოხსენიებული 300-კაციანი საბჭო, რომელიც სვანეთს განაგებდა, იგივე ლგთიმ მარე, ანუ სოფლის თემების წარმომადგენელთა საბჭო იყო.
- III. რ. ხარაძის ცნობით, სვანეთის სოფლებში ყრილობაზე სამი წლის ვადით საგანგებოდ ირჩევდნენ ხევისთავს, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია ჩადენილი დანაშაულების გამოაშკარავება იყო.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ I და II
- (დ) მხოლოდ I და III
- (ე) მხოლოდ II და III

9. ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტის პირველი აზრის ძირითადი ფუნქცია?

- (ა) გამოკვეთოს მოსაზრება, რომ საქართველოს მთიანეთში სახალხო კრება უაღრესად ავტორიტეტული ორგანო იყო.
- (ბ) წარმოაჩინოს, რომ ქართველ მთიელთა საზოგადოებრივ ცხოვრებას დემოკრატიის არსებითი ნიშნები ახასიათებდა.
- (გ) გამოკვეთოს აზრი, რომ ქართველ მთიელთა სახალხო კრება გარკვეულ საფუძველს ქმნის ბერძნულ-რომაულ დემოკრატიასთან შესადარებლად.
- (დ) განმარტოს, რომ სახალხო კრება მართვაში ხალხის მონაწილეობას გულისხმობს და, ამდენად, ის დემოკრატიის ნიშნების მქონეა.
- (ე) წარმოაჩინოს, რომ, დემოკრატიის არსიდან გამომდინარე, საქართველოს მთიანეთი და ბერძნულ-რომაული სამყარო ერთმანეთისაგან მკვეთრად დაშორებული გარემოა.

10. ჩამოთვლილთაგან რომელი თვალსაზრისი არ არის მართებული ტექსტის მიხედვით?

- (ა) როგორც წესი, რომში ტრიბის კრებაზე ქალაქის კეთილმოწყობისა და მომარაგების საკითხები არ განიხილებოდა.
- (ბ) როგორც საქართველოს მთიანეთში, ისე ზოგადად კავკასიაში, სასოფლო მოედნები სათანადო შინაარსის სიტყვებით აღინიშნებოდა.
- (გ) სვანეთში სათემო ყრილობაზე მახვილი წინასწარ თათბირობდა საგანგებოდ შერჩეულ პირებთან, თუმცა ყრილობა მათ საერთო გადაწყვეტილებას ზოგჯერ არ იზიარებდა.
- (დ) ძველ რომში კომიციებს მხოლოდ იმ საგანგებო დღეებში ატარებდნენ, რომლებსაც ქურუმები წინასწარ დაადგენდნენ.
- (ე) კავკასიის მთიანეთში სასოფლო მოედნებს სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ტექსტი №2

ამერიკელი პოლიტოლოგის, **რობერტ პატნემის** აზრით, მდიდარი რეგიონების სამოქალაქო განვითარებას მათი სიმდიდრე კი არ უდევს საფუძვლად, არამედ პირიქით, სიმდიდრე მათმა „სამოქალაქო“ ხასიათმა გამოიწვია. თვალსაჩინოებისთვის პატნემს მაგალითად მოჰყავს იტალიის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დიდი სხვაობა მატერიალური თვალსაზრისით. პატნემი ამ განსხვავებას ისტორიულ საფუძველს უძებნის: ქვეყნის სამხრეთში ნორმანთა ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს ღერძს იერარქიული სტრუქტურა წარმოადგენდა, მაგრამ ამ სახელმწიფოს მიერ დატოვებული მემკვიდრეობა არ აღმოჩნდა სასარგებლო დემოკრატიული ტიპის საზოგადოებისათვის. ხოლო იტალიის მდიდარ ჩრდილოეთში (ფლორენცია, ბოლონია, გენუა) მე-11 საუკუნიდან არსებობდა ქალაქ-რესპუბლიკები, ზუსტად იქ, სადაც დღეს მაღალია სამოქალაქო ჩართულობა და მმართველობის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად არაფერი აბრკოლებს. ეს ჩართულობა კი მემკვიდრეა გილდიების, რელიგიური საძმოების და მსგავსი გაერთიანებებისა. ამის საპირისპიროდ, „არასამოქალაქო“ რეგიონებში საჯარო საქმე საზოგადოების ჩვეულებრივ წევრებს კი არ ეხებათ, არამედ „ბოსებს“. უმრავლესობა თავს არ მიიჩნევს ბედნიერად, ფიქრობს, რომ მასზე არაფერია დამოკიდებული, რომ კანონი დასარღვევადაა შექმნილი. ამიტომაც ეშინია სხვების და მეტ სიმკაცრეს მოითხოვს ხელისუფლებისაგან.

როგორ ხდება სამოქალაქოობის გარდაქმნა მატერიალურ სიმდიდრედ? სწორედ აქ შემოდის **სოციალური კაპიტალის** ცნება, რომელსაც ემყარება პატნემის არგუმენტაცია.

სოციალური კაპიტალის ცნება პირველად **ჯადსონ ჰანიფენსმა** გამოიყენა მე-19 საუკუნეში. ამ ტერმინის შემოტანით იგი აღნიშნავდა „კეთილ ნებას, სიმპათიას, ამხანაგობასა და სოციალურ ურთიერთობას ინდივიდებსა და ოჯახებს შორის, რომლებიც შეადგენენ სოციალურ ერთობას“. ამავე ტერმინის დღევანდელი გამოყენების წყაროს კი სოციოლოგი **ჯეიმს ქოულმენი** წარმოადგენს. ქოულმენმა 80-იან წლებში ჩაატარა ემპირიული კვლევა, რომლის მიზანი იყო, დაედგინა განსხვავების მიზეზი საჯარო და კერძო სკოლებში იმ მოსწავლეთა რაოდენობებს შორის, რომლებიც სწავლას წყვეტდნენ. აღმოჩნდა, რომ ეს რაოდენობა კერძო სკოლებში (განსაკუთრებით კი კათოლიკურ სკოლებში) ბევრად უფრო დაბალი იყო. ქოულმენმა ამის მიზეზად დაასახელა არა ოჯახების შემოსავალი, არამედ ის, რომ, როგორც წესი, კერძო სკოლებში მოსწავლეების განკარგულებაში უფრო მეტი სოციალური კაპიტალია. ეს კაპიტალი კი გულისხმობს არა მხოლოდ უფრო ახლო კონტაქტს მშობლებსა და შვილებს შორის, არამედ ოჯახგარეთ არსებულ ჯგუფში

ტექსტის გაგრძელება ->

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

ბავშვების, მოზარდების ჩართულობას. სწორედ ამ თეორიას დაეყრდნო შემდგომში რობერტ პატნემიც ნაშრომში „როგორ ვამუშაოთ დემოკრატია“ (1993 წ.). პატნემი სამოქალაქო ჩართულობის გასაზომად შემდეგ ინდიკატორებს გვთავაზობს: არჩევნებში მონაწილეობა, გაზეთის მკითხველთა რიცხვი, ნებაყოფლობით საზოგადოებებში (მაგ.: საჭადრაკო კლუბი, ფრინველთა დაცვის საზოგადოება, სიმღერის ანსამბლი...) გაწევრიანებულთა რაოდენობა. მისი აზრით, რეგიონებში, სადაც მრავალია ასეთი ორგანიზაცია, საზოგადოების წევრებს შორის ნდობა სუფევს, ხოლო სოციალური და პოლიტიკური ქსელები ორგანიზებულია ჰორიზონტალურად და არა – იერარქიულად. საზოგადოებას საჯარო საქმე აერთიანებს. პატნემის მიხედვით, ნდობა მთავარი საყრდენია.

ამჟამად სოციალური კაპიტალის ცნების გამოყენება გასცდა აკადემიურ სამეცნიერო ფარგლებს და გასათვალისწინებელ ფაქტორად იქცა პოლიტიკის შემუშავებისას, რასაც მსოფლიო ბანკის პროგრამებიც ადასტურებს. ეს ცნება მნიშვნელოვან დამაკავშირებელ როლს ასრულებს სოციოლოგიურსა და ეკონომიკურ მიდგომებს შორის. სოციოლოგიური თეორია ადამიანს განიხილავს, როგორც სოციალურ კონტექსტში ჩართულ აქტორს, რომლის ქმედებებიც სოციალური ნორმებისა და ვალდებულებების გავლენას განიცდის. ამის საპირისპიროდ, ეკონომიკური მიდგომის სპეციფიკა ისაა, რომ აქტორი განიხილება, როგორც პირი, რომელიც რაციონალურად მოქმედებს საკუთარ ინტერესთა შესაბამისად, მისი მოქმედების პრინციპს კი სარგებლიანობა წარმოადგენს. ამგვარი მიდგომა დამახასიათებელია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ისეთი პოლიტოლოგიური თეორიებისთვისაც, როგორებიცაა კონტრაქტის თეორია ან უტილიტარიზმი.

იმისათვის, რომ ზუსტად განვსაზღვროთ სოციალური კაპიტალის ცნების მოცულობა, ის უნდა გავარჩიოთ კაპიტალის სხვა ფორმებისაგან. ეკონომიკაში გამოყოფენ სამ საწარმოო ფაქტორს. ესენია: ბუნებრივი რესურსები, შრომა და კაპიტალი. ჩვეულებრივ, კაპიტალი განისაზღვრება, როგორც საწარმოო საშუალებები (ინსტრუმენტები). მაგრამ უკანასკნელ პერიოდში დაიწყო საუბარი ადამიანურ კაპიტალზეც, რაც წვრთნის შედეგად გამომუშავებულ შრომის უნარს გულისხმობს. სოციალური კაპიტალი კი წარმოადგენს საზოგადოების წევრების უნარს, ითანამშრომლონ ერთმანეთთან. სოციალურ კაპიტალს გამოარჩევს ის, რომ მის დასაგროვებლად ხანგრძლივი დროა საჭირო, მისი გამოყენება მას არ ცვეთს, პირიქით, გამოყენების გარეშე სოციალური კაპიტალი ქრება. ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ სოციალური კაპიტალის რამდენიმე ფორმა: ა) შემადულაბებელი (Bonding) და შემაკავშირებელი (Bridging) სოციალური კაპიტალი. პირველი კრავს ერთი და იმავე ტიპის ადამიანებს, ხოლო მეორე მოწოდებულია, გადალახოს საზღვრები და

ტექსტის გაგრძელება ->

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

ნაპრალები ჯგუფებს შორის; ბ) ფორმალური და არაფორმალური სოციალური კაპიტალი. პროფკავშირები ორგანიზებულია ფორმალურად, განსხვავებით, მაგალითად, ე. წ. ოჯახური სადილებისაგან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი ტიპის არაფორმალური სოციალური კაპიტალი უმნიშვნელოა. არსებობს მიზნები, რომლებიც სწორედ ამ ტიპის კაპიტალით მიიღწევა. ასე რომ, სოციალური კაპიტალი მრავალგანზომილებიანი ცნებაა.

ამ თეორიული წიაღსვლის შემდეგ დავუბრუნდეთ პატნემის ნაშრომს. შესაძლებელია ითქვას, რომ ავტორი ერთი ძირითადი წანამძღვრიდან ამოდის: სოციალური კაპიტალი მიზეზობრივ კავშირშია ეფექტიან და დემოკრატიულ მმართველობასთან. თუმცა ამ წანამძღვარს ყველა არ ეთანხმება. შერი ბერმანი, პატნემის ერთ-ერთი კრიტიკოსი, ამტკიცებს, რომ ნაციზმის გავრცელება მე-20 საუკუნის 30-იანი წლების გერმანიაში უკავშირდებოდა სწორედ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობას, რომელსაც საპირწონედ არ გააჩნდა ძლიერი პოლიტიკური ინსტიტუტები; სახელმწიფო ვერ ახერხებდა დინამიკური სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. საბოლოოდ, ბერმანის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოების არსებობა სწორედ ნაციზმს გამოადგა დინამიკური პოლიტიკური სისტემის შექმნის საქმეში.

ისმის კითხვა: ხომ არ განიხილავს პატნემი სოციალურ კაპიტალს მხოლოდ პოზიტიური მხრიდან, მხედველობიდან ხომ არ კარგავს მოვლენის ნეგატიურ ასპექტებს? მიუხედავად ამ კითხვისა, პატნემის ეს ნაშრომი უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სოციალურ მეცნიერებებში. საგულისხმოა, რომ ტექსტის გვიანდელ რედაქციაში პატნემი მოიხსენიებს კუ-კლუქს-კლანს, როგორც „სოციალური კაპიტალის ფორმას“, და აღიარებს, რომ სოციალურ კაპიტალს ავტომატურად არ მივყავართ დემოკრატიული მმართველობისკენ. გაკვეთილი კი, რომელიც ამ ნაშრომიდან უნდა გამოვიტანოთ, ისაა, რომ ინსტიტუტები ვერ იქნება ეფექტიანი, თუ ისინი არახელსაყრელ კულტურულ-სოციალურ კონტექსტში მოხვდებიან. მაგრამ ეს არ არის იმის აღიარების ტოლფასი, თითქოს ამ კონტექსტის შეცვლა შეუძლებელი იყოს.

11. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს უფრო ზუსტად და მართებულად ავტორის მთავარ მიზანს?

- (ა) შეადაროს ერთმანეთს სოციალური კაპიტალის ცნების განმარტებები მე-19 და მე-20 საუკუნეების მკვლევართა ნაშრომების მიხედვით.
- (ბ) გამოკვეთოს არსებითი განსხვავება სოციალური კაპიტალის შესახებ შერი ბერმანისა და რობერტ პატნემის თვალსაზრისებს შორის.
- (გ) წარმოაჩინოს ჯადსონ ჰანიფესისა და ჯეიმს ქოულმენის მნიშვნელოვანი როლი სოციალური კაპიტალის ცნების დანერგვაში.
- (დ) გაგვაცნოს სოციალური კაპიტალის არსი და განიხილოს პოლიტოლოგ რობერტ პატნემის ნაშრომი ამ ცნების შესახებ.
- (ე) ერთმანეთისაგან გაარჩიოს და სათანადო მაგალითებით წარმოაჩინოს სოციალური კაპიტალის სხვადასხვა ფორმა.

12. რომელი დასკვნაა მართებული ტექსტის მიხედვით?

- I. ნორმანთა ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერმა იერარქიულმა სტრუქტურამ ხელი შეუწყო შემდგომში დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.
- II. იტალიის იმ ნაწილში, სადაც ქალაქ-რესპუბლიკები არსებობდა, უფრო მაღალია სამოქალაქო ჩართულობა და მმართველობაც ეფექტიანია.
- III. რეგიონებში, სადაც იყო გილდიები, რელიგიური საძმოები თუ მსგავსი გაერთიანებები, საჯარო საქმეში ერთვებიან არა საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები, არამედ ხელმძღვანელი პირები.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II
- (ე) მხოლოდ II და III

13. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ჯეიმს ქოულმენმა, ემპირიული კვლევის შედეგად, ჯადსონ ჰანიფენსის თვალსაზრისი უარყო და საპირისპირო თეორია დაასაბუთა.
- (ბ) შერი ბერმანი უპირისპირდებოდა ქოულმენის აზრს სოციალური კაპიტალისა და მმართველობის ფორმის მჭიდრო კავშირის თაობაზე და პატნემის თვალსაზრისს იზიარებდა.
- (გ) რობერტ პატნემი თავის ნაშრომში, უმეტესწილად, მე-19 საუკუნის მკვლევრის, ჯადსონ ჰანიფენსის კვლევის შედეგებს ეყრდნობოდა.
- (დ) პირველმა ჯეიმს ქოულმენმა შემოიღო და განმარტა სოციალური კაპიტალის ცნება, რასაც შემდგომში ჰანიფენსი და პატნემი დაეყრდნენ.
- (ე) ჯეიმს ქოულმენმა თავის კვლევაში წარმოაჩინა სოციალური კაპიტალის როლი, შემდგომში კი რობერტ პატნემი სწორედ მის თეორიას დაეყრდნო.

14. სოციოლოგ ჯეიმს ქოულმენის კვლევის რომელი შეფასებაა მართებული ჩამოთვლილთაგან?

- (ა) ქოულმენმა ჩაატარა ემპირიული კვლევა, რომლის მიზანი იყო, წარმოეჩინა მოსწავლეთა რაოდენობრივი სხვაობა კათოლიკურ სკოლებსა და სხვა სასწავლებლებს შორის.
- (ბ) ქოულმენის კვლევის მიზანი იყო, დაედგინა განსხვავების მიზეზი საჯარო და კერძო სკოლებში იმ მოსწავლეთა რაოდენობებს შორის, რომლებიც სწავლას დროზე ადრე წყვეტდნენ.
- (გ) ქოულმენმა ჩაატარა ემპირიული კვლევა, რომლის მიზანი იყო, ზუსტად დაედგინა რაოდენობრივი სხვაობა საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა ოჯახების შემოსავლებს შორის.
- (დ) ქოულმენის კვლევის მიზანი იყო, დაედგინა განსხვავება საჯარო და კერძო სკოლების იმ მოსწავლეთა რაოდენობებს შორის, რომლებიც შეძლებულ ოჯახებს მიეკუთვნებოდნენ.
- (ე) ქოულმენის კვლევის მიზანი იყო, გამოევლინა განსხვავება კათოლიკურისა და სხვა კერძო სკოლების იმ მოსწავლეთა რაოდენობებს შორის, რომლებიც სწავლას წყვეტდნენ.

15. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ დასტურდება ტექსტის მიხედვით?

- (ა) მკვლევარ რობერტ პატნემისთვის მნიშვნელოვან არგუმენტად იქცა იტალიის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დიდი სხვაობა მატერიალური თვალსაზრისით.
- (ბ) პატნემი მიუთითებს, რომ იტალიის სამხრეთის რეგიონებში, ჩრდილოეთის რეგიონებისაგან განსხვავებით, საზოგადოების წევრები მეტ სიმკაცრეს მოითხოვენ ხელისუფლებისაგან.
- (გ) ჯადსონ ჰანიფენსი ტერმინით „სოციალური კაპიტალი“ ხაზს უსვამს კეთილგანწყობილ ურთიერთობას ინდივიდებსა და ოჯახებს შორის, რომლებიც სოციალურ ერთობას შეადგენენ.
- (დ) თანამედროვე ეპოქაში სოციალური კაპიტალის ცნება გასცდა აკადემიურ სამეცნიერო ფარგლებს და პოლიტიკის შემუშავების დროს ერთ-ერთ საყურადღებო ფაქტორად იქცა.
- (ე) სოციოლოგთა შეფასებით, სოციალური კაპიტალის ცნების მიმართ ეკონომიკური მიდგომის სპეციფიკა მიუღებელი აღმოჩნდა ყველა პოლიტოლოგიური თეორიისათვის.

16. რა ინფორმაციას გვაწვდის ავტორი სოციალური კაპიტალის შესახებ?

- (ა) იმ ფაქტს, რომ სოციალური კაპიტალი გასათვალისწინებელ ფაქტორად იქცა პოლიტიკის შემუშავებისას, მსოფლიო ბანკის პროგრამებიც ადასტურებს.
- (ბ) სოციალურ კაპიტალს გამოარჩევს ის, რომ მის დაგროვებას ხანმოკლე დრო ესაჭიროება.
- (გ) სოციალური კაპიტალი გამოყენების გარეშეც ინახება და არ ცვდება.
- (დ) სოციალური კაპიტალი არ ეფუძნება საზოგადოების წევრების შესაძლო უნარს, ითანამშრომლონ ერთმანეთთან, ის მხოლოდ წვრთნის შედეგად გამოიშავდება.
- (ე) სოციალური კაპიტალის გამოყენებით მხოლოდ სამოქალაქო ხასიათის მიზნები მიიღწევა, შესაბამისად, სოციალური კაპიტალი არ არის მრავალგანზომილებიანი ცნება.

17. ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება პატენტის მიერ სამოქალაქო ჩართულობის გასაზომად შემოთავაზებულ ინდიკატორებს?

- I. არჩევნებში მონაწილეობა.
- II. მშობლებსა და შვილებს შორის ახლო კონტაქტი.
- III. ნებაყოფლობით საზოგადოებებში გაწევრიანებულთა რაოდენობა.
- IV. გაზეთის მკითხველთა რიცხვი.
- V. ოჯახგარეთ არსებულ ჯგუფში ბავშვის, მოზარდის ჩართულობა.

- (ა) მხოლოდ I, II და III
- (ბ) მხოლოდ I, II და IV
- (გ) მხოლოდ I, III და IV
- (დ) მხოლოდ II, III, IV და V
- (ე) მხოლოდ II, III და V

18. ტექსტის მიხედვით, მართებულია დავასკვნათ, რომ

- (ა) შემაღულაბეზელი და შემაკავშირებელი სოციალური კაპიტალი სინონიმური ცნებებია და მათ შორის განსხვავება არაარსებითია.
- (ბ) არაფორმალური სოციალური კაპიტალი, ფორმალურისაგან განსხვავებით, აღწევს მიზანს, გადალახოს ჯგუფებს შორის გაჩენილი ნაპრალები და საზღვრები.
- (გ) ფორმალური სოციალური კაპიტალი კრავს ერთი და იმავე ტიპის ადამიანებს, ამდენად, ასეთი სოციალური ჯგუფის სამოქალაქოობის ხარისხი დაბალია.
- (დ) პატნემის თეორიული დაშვებით, სოციალურ კაპიტალსა და ეფექტიან დემოკრატიულ მმართველობას შორის ე. წ. მიზეზობრივი კავშირია.
- (ე) შერი ბერმანი აკრიტიკებდა პატნემს და აღნიშნავდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების არსებობამ ხელი შეუშალა ნაციზმს პოლიტიკური სისტემის შექმნის საქმეში.

19. ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტის ბოლო აზრის ძირითადი ფუნქცია?

- (ა) პატენტისა და ბერმანის განსხვავებულ პოზიციათა გაცნობა.
- (ბ) სოციალური კაპიტალის მნიშვნელობის შეჯამება.
- (გ) პატენტის ბოლოდროინდელი ნაშრომის გაცნობა და წარმოჩენა.
- (დ) სოციალური კაპიტალის შესახებ პატენტის მოსაზრების ავტორისეული შეფასება.
- (ე) ავტორის მიერ სოციალური კაპიტალის ცნების შესახებ პირადი მოსაზრების გაცნობა.

20. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ მოსაზრებას გამოთქვამს თავად ამ ტექსტის ავტორი?

- (ა) იმ რეგიონებში, სადაც მრავლადაა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, საზოგადოების წევრებს შორის ნდობა სუფევს.
- (ბ) ჩვეულებრივ, კერძო სკოლებში მოსწავლეების განკარგულებაში უფრო მეტი სოციალური კაპიტალია.
- (გ) სოციალური კაპიტალის ეფექტიანობა მჭიდროდ უკავშირდება დემოკრატიული მმართველობის წარმატებულობას.
- (დ) საბოლოოდ ნაციზმს სამოქალაქო საზოგადოების არსებობა სწორედ რომ გამოადგა დინამიკური პოლიტიკური სისტემის შექმნაში.
- (ე) პოლიტიკის შემუშავებისას სოციალური კაპიტალის ცნება მნიშვნელოვან დამაკავშირებელ როლს ასრულებს სოციოლოგიურსა და ეკონომიკურ მიდგომებს შორის.

21. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება/მოსაზრებები ეკუთვნის რობერტ პატნემს?

- I. სოციოლოგიური თეორია ადამიანს განიხილავს, როგორც სოციალურ კონტექსტში ჩართულ პირს, რომლის ქმედება სოციალურ ნორმათა და ვალდებულებათა ზეგავლენას განიცდის.
- II. სოციალურ კაპიტალს ავტომატურად არ მივყავართ დემოკრატიული მმართველობისკენ.
- III. არსებობს მიზნები, რომლებიც სწორედ არაფორმალური სოციალური კაპიტალით მიიღწევა.

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II
- (ე) მხოლოდ II და III

ლოგიკური მსჯელობა

14 ამოცანა

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

22. მოცემულია წინადადება:

- ყველა მსმენელი ვერ შეძლებს კურსის წარმატებით დასრულებას, თუმცა აუცილებლად იქნება ისეთი, ვინც ამას შეძლებს.

ჩამოთვლილთაგან რომელს აქვს იგივე შინაარსი, რაც მოცემულს?

- (ა) კურსის წარმატებით დასრულებას ერთი მსმენელი შეძლებს.
- (ბ) ან ყველა მსმენელი წარმატებით დაასრულებს კურსს, ან – არცერთი.
- (გ) კურსის წარმატებით დასრულებას მსმენელთა მხოლოდ ნაწილი შეძლებს.
- (დ) შეუძლებელია, რომ ვერცერთმა მსმენელმა ვერ შეძლოს კურსის წარმატებით დასრულება.
- (ე) აუცილებლად იარსებებენ ისეთი მსმენელები, რომლებიც კურსის წარმატებით დასრულებას ვერ შეძლებენ.

23. სასცენო განათებას ხუთი – A, B, C, D და E – პროექტორი უზრუნველყოფს, რომლებიც ყოველთვის შემდეგი პირობების დაცვით ანთია:

- I. თუ A ანთია, მაშინ B-ც ანთია.
- II. თუ B ანთია, მაშინ C-ც ანთია.
- III. თუ C ანთია, მაშინ D-ც ანთია.
- IV. თუ D ანთია, მაშინ E-ც ანთია.

თუ მოცემულ მომენტში მხოლოდ ორი პროექტორი ანთია, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი?

- (ა) არ ანთია A.
- (ბ) არ ანთია B.
- (გ) არ ანთია C.
- (დ) არ ანთია D.
- (ე) ანთია E.

24. შესარჩევი კომისიის თავმჯდომარე:

„როგორც იცით, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი წარმომადგენლობითი მისია ორი წევრისგან უნდა შედგებოდეს. რადგან ერთ-ერთი წევრი მამაკაცია, ამიტომ გენდერული ბალანსის დაცვისათვის მეორე წევრად კანდიდატებიდან მარიამი უნდა ავირჩიოთ.“

ჩამოთვლილთაგან რომელი ხდის მართებულს თავმჯდომარის მსჯელობას?

- (ა) მარიამი ერთადერთი ქალია კანდიდატებს შორის.
- (ბ) მარიამის კანდიდატურას ყველა ქალი კანდიდატი დადებითად აფასებს.
- (გ) მარიამი მისიის წევრობისათვის აუცილებელ ყველა პირობას აკმაყოფილებს.
- (დ) მარიამის კომპეტენცია საკმარისია მისიის წევრის ფუნქციების წარმატებით შესრულებისათვის.
- (ე) მარიამი ერთადერთია ქალ კანდიდატთაგან, რომელსაც მსგავს მისიაში მონაწილეობის გამოცდილება აქვს.

25. შუქნიშანთან სულ შვიდი მანქანა – ვერცხლისფერი, თეთრი, ლურჯი, მწვანე, რუხი, შავი და წითელი – დგას ერთ მწკრივად. ცნობილია, რომ:

- ლურჯი მანქანა მწკრივში ბოლოა.
- მწვანე მანქანა შავი მანქანის უშუალოდ უკან დგას.
- ვერცხლისფერი მანქანა არ დგას მწკრივში პირველი.
- რუხ და თეთრ მანქანებს შორის ზუსტად სამი მანქანაა.
- შავ და თეთრ მანქანებს შორის მხოლოდ წითელი მანქანაა.

რომელი ფერის მანქანაა მწკრივში მეოთხე?

- (ა) თეთრი
- (ბ) მწვანე
- (გ) რუხი
- (დ) შავი
- (ე) წითელი

26. მოცემულია მსჯელობა:

როგორც ცნობილია, საუკუნის წინ არ არსებობდა არც ინტერნეტი და არც ტელევიზია, ხალხს ბევრად ნაკლები გასართობი ჰქონდა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი უფრო მეტ დროს უთმობდნენ მხატვრული ლიტერატურის კითხვას, ვიდრე ჩვენი თანამედროვენი.

ჩამოთვლილთაგან ყველა, გარდა ერთისა, ეჭვქვეშ აყენებს მსჯელობაში მოცემული ვარაუდის მართებულობას. რომელია ეს ერთი?

- (ა) თანამედროვეებს ბევრად მეტი თავისუფალი დრო აქვთ, ვიდრე მათზე საუკუნით ადრე მცხოვრებლებს.
- (ბ) ტელევიზიითა და ინტერნეტით ხშირად ხდება მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების პოპულარიზაცია.
- (გ) მხატვრული ლიტერატურა დროის გასვლასთან ერთად მუდმივად უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება.
- (დ) თავისუფალი დროის გატარების კიდევ ერთი ფორმა, სპორტული ღონისძიებები, საუკუნის წინ ბევრად ნაკლები იყო.
- (ე) ელექტრონული ბიბლიოთეკების საშუალებით მკითხველისათვის პრაქტიკულად ყველა წიგნია ხელმისაწვდომი, ხოლო საუკუნის წინ არჩევანი ფრიად შეზღუდული იყო.

ამოცანები 27-28 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

მოცემულია ოთხი ელემენტი, რომელთაგან ორი ვარგისია, ორი კი – უვარგისი. გაქვთ მხოლოდ ფარანი, რომელშიც მხოლოდ ორი ელემენტი თავსდება. თუ მასში მოთავსებული ორი ელემენტიდან ერთი მაინც ვარგისია, მაშინ ფარანი აინთება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – არა. საჭიროა გარანტირებულად დავადგინოთ ერთი ვარგისი ელემენტი მაინც.



27. სულ მცირე რამდენი ცდა (ანუ, ელემენტების წყვილების შემოწმება) შეიძლება აღმოჩნდეს საკმარისი მიზნის მისაღწევად?

- (ა) 1 (ბ) 2 (გ) 3 (დ) 4 (ე) 5

28. ოპტიმალურად მოქმედების შემთხვევაში, სულ მცირე რამდენი ცდა იძლევა მიზნის მიღწევის გარანტიას?

- (ა) 1 (ბ) 2 (გ) 3 (დ) 4 (ე) 5

ამოცანები 29-31 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით უნდა შედგეს სულ სამი საგნის – ქართულის, მათემატიკის, უცხოური ენის – გაკვეთილების ცხრილი შემდეგი პირობების დაცვით:

- თითოეულ დღეს ერთი გაკვეთილი მაინც უნდა ჩატარდეს.
- სამშაბათისა და ოთხშაბათის გაკვეთილებს შორის საერთო მხოლოდ ერთი საგანი უნდა იყოს.
- თუ რომელიმე საგნის გაკვეთილი არ ტარდება ოთხშაბათს, მაშინ ამ საგნის გაკვეთილი ტარდება ხუთშაბათს.
- თუ რომელიმე საგნის გაკვეთილი ორშაბათს ტარდება, მაშინ ამ საგნის გაკვეთილი არ ტარდება არც სამშაბათს და არც ხუთშაბათს.

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

29. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება წარმოადგენდეს მოცემული გაკვეთილების ცხრილს?

(ა)	ორშაბათი:	სამშაბათი:	ოთხშაბათი:	ხუთშაბათი:	პარასკევი:
	მათემატიკა	ქართული უცხოური ენა	ქართული	ქართული უცხოური ენა	ქართული მათემატიკა
(ბ)	ორშაბათი:	სამშაბათი:	ოთხშაბათი:	ხუთშაბათი:	პარასკევი:
	უცხოური ენა	ქართული მათემატიკა	ქართული უცხოური ენა	მათემატიკა	ქართული მათემატიკა
(გ)	ორშაბათი:	სამშაბათი:	ოთხშაბათი:	ხუთშაბათი:	პარასკევი:
	უცხოური ენა	ქართული მათემატიკა	ქართული მათემატიკა უცხოური ენა	მათემატიკა	ქართული უცხოური ენა
(დ)	ორშაბათი:	სამშაბათი:	ოთხშაბათი:	ხუთშაბათი:	პარასკევი:
	მათემატიკა	ქართული	ქართული უცხოური ენა	ქართული მათემატიკა	მათემატიკა უცხოური ენა
(ე)	ორშაბათი:	სამშაბათი:	ოთხშაბათი:	ხუთშაბათი:	პარასკევი:
		ქართული	ქართული მათემატიკა უცხოური ენა	ქართული უცხოური ენა	მათემატიკა

30. ჩამოთვლილთაგან რომელი ვერ იქნება რომელიმე საგნის ჩატარების დღეების სრული სია?

- (ა) სამშაბათი, პარასკევი.
- (ბ) სამშაბათი, ოთხშაბათი.
- (გ) ხუთშაბათი, პარასკევი.
- (დ) ოთხშაბათი, ხუთშაბათი.
- (ე) სამშაბათი, ხუთშაბათი.

31. თუ ერთ-ერთი საგნის გაკვეთილების ჩატარების დღეებია ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი სხვა რომელიმე საგნის შესახებ?

- (ა) ტარდება კვირაში ორჯერ: ხუთშაბათს, პარასკევს.
- (ბ) ტარდება კვირაში ორჯერ: ოთხშაბათს, ხუთშაბათს.
- (გ) ტარდება კვირაში ორჯერ: სამშაბათს, ხუთშაბათს.
- (დ) ტარდება კვირაში სამჯერ: სამშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს.
- (ე) ტარდება კვირაში სამჯერ: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს.

ამოცანები 32-35 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

მენეჯერს დაევალა ახალი პროექტის შესრულება **მაქსიმუმ** 3 თვეში. პროექტი შედგება 5 ეტაპისაგან, რომლებიც შემდეგი მკაცრად განსაზღვრული მიმდევრობით უნდა შესრულდეს: ანალიზი, პროექტირება, დაპროგრამება, ტესტირება და ინტეგრირება. პროექტის შესასრულებლად მის განკარგულებაში 7 თანამშრომელია: გია, დათო, იასე, კატო, ლელა, მარი და ოთარი.

ცნობილია, რომ:

<ul style="list-style-type: none"> • პროექტი უწყვეტად უნდა შესრულდეს. ანალიზის ეტაპი პირველი თვის დასაწყისში იწყება. • თითოეულ ეტაპს ერთი თანამშრომელი შეასრულებს. • ჯგუფის არცერთ წევრს არ შეუძლია ერთსა და იმავე თვეში ერთზე მეტი ეტაპის შესრულება. • ყოველი ეტაპი იმავე თვეში უნდა დასრულდეს, რომელშიც დაიწყება. • დაპროგრამება და ინტეგრირება ერთსა და იმავე თვეში ვერ მოხერხდება. 	<p>თანამშრომელთა კომპეტენციები შემდეგნაირია:</p> <p>გია: დაპროგრამება.</p> <p>დათო: ტესტირება, ინტეგრირება.</p> <p>იასე: ანალიზი, ინტეგრირება.</p> <p>კატო: ანალიზი, ტესტირება.</p> <p>ლელა: პროექტირება, დაპროგრამება.</p> <p>მარი: ტესტირება.</p> <p>ოთარი: პროექტირება, ინტეგრირება.</p>
---	---

32. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ჯგუფის სრული შემადგენლობა, რომელმაც შეასრულა პროექტი?

- (ა) გია, დათო, იასე, კატო.
- (ბ) გია, დათო, კატო, ლელა.
- (გ) დათო, იასე, კატო, ოთარი.
- (დ) გია, დათო, ლელა, მარი, ოთარი.
- (ე) გია, დათო, იასე, ლელა, მარი, ოთარი.

33. სულ მცირე რამდენი თანამშრომელია საკმარისი პროექტის შესასრულებლად?

- (ა) ერთი
- (ბ) ორი
- (გ) სამი
- (დ) ოთხი
- (ე) ხუთი

34. თუ ტესტირება მესამე თვეში მოხდება, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი?

- (ა) მეორე თვეში პროექტზე იმუშავენ მხოლოდ იასე.
- (ბ) მეორე თვეში პროექტზე იმუშავენ მხოლოდ კატო.
- (გ) მეორე თვეში პროექტზე იმუშავენ მხოლოდ ოთარი.
- (დ) მეორე თვეში პროექტზე იმუშავენ მხოლოდ გია და დათო.
- (ე) მეორე თვეში პროექტზე იმუშავენ მხოლოდ ლელა და ოთარი.

35. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ის ორი თანამშრომელი, რომლებმაც პროექტზე ერთსა და იმავე თვეებში (ორში მაინც) იმუშავეს?

- (ა) გია და მარი
- (ბ) დათო და კატო
- (გ) იასე და ლელა
- (დ) კატო და ლელა
- (ე) ლელა და ოთარი

რაოდენობრივი მსჯელობა

7 ამოცანა

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

36. ვთქვათ, შესრულებულია ტოლობა:

$$\frac{m}{n} = \frac{30}{84}$$

სადაც m და n ნატურალური რიცხვებია. იპოვეთ $m + n$ ჯამის უმცირესი შესაძლო მნიშვნელობა.

(ა) 11


(ბ) 14

(გ) 19

(დ) 22

(ე) 34

37. წესიერი ხუთკუთხედის ორ გვერდზე აგებულია რომბი (იხ. ნახაზი). იპოვეთ ნახაზზე მონიშნული α კუთხის გრადუსული ზომა.



(ა) 32°



(ბ) 36°

(გ) 42°

(დ) 45°

(ე) 50°

38. წრფეზე მოცემულია სამი წერტილი, მის პარალელურ მეორე წრფეზე კი – ოთხი (იხ. ნახაზი). სულ რამდენი სამკუთხედი არსებობს ისეთი, რომლის თითოეული წვეროც ერთ-ერთია ამ შვიდი წერტილიდან?



(ა) 12

(ბ) 24


(გ) 30

(დ) 32


(ე) 36

39. ცარიელ ავზთან ორი – A და B – მილია მიერთებული. A მილით ავზში წყალი ჩაედინება, B მილით კი ავზიდან წყალი გაედინება. ორივე მილი ერთდროულად ამოქმედდა და 10 წუთის განმავლობაში იმუშავა. 1-ელ ნახაზზე მოცემული I წირი წარმოადგენს ამ 10 წთ-ის განმავლობაში A მილით ავზში ჩასხმული წყლის მოცულობის დროზე დამოკიდებულების გრაფიკს, II წირი კი – B მილით ავზიდან გადინებული წყლის მოცულობის დროზე დამოკიდებულების გრაფიკს.


ქვემოთ მოცემულთაგან მხოლოდ ერთი წარმოადგენს ამ 10 წუთის განმავლობაში ავზში წყლის მოცულობის დროზე დამოკიდებულების გრაფიკს. რომელია ეს გრაფიკი?




ნახაზი 1




(ა)




(ბ)



(გ)



(დ)



(ე)

40. სამნიშნა ნატურალური რიცხვის შესახებ მოცემულია ორი პირობა:

- I. ამ რიცხვის ასეულების აღმნიშვნელი ციფრი 5-ჯერ მეტია ერთეულების აღმნიშვნელ ციფრზე.
- II. ამ რიცხვის ასეულების აღმნიშვნელი ციფრი 5-ით მეტია ათეულების აღმნიშვნელ ციფრზე.

იმისათვის, რომ დავადგინოთ, იყოფა თუ არა (უნაშთოდ) ეს რიცხვი 5-ზე,

- (ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
- (გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.
- (დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
- (ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.

41. მოცემულია კვადრატი და წრე. კვადრატის გვერდის სიგრძე 2 მ-ის ტოლია.

მათ შესახებ მოცემულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი:

„თუ ----- , მაშინ -----.“

შემდეგი სამი ფრაგმენტიდან:

- (1) წრის ფართობი კვადრატის ფართობის ნახევრის ტოლია
- (2) წრის რადიუსი 1 მ-ზე ნაკლებია
- (3) წრის შემოსაზღვრელი წრეწირის სიგრძე კვადრატის პერიმეტრის ტოლია

აირჩიეთ ორი და ჩასვით ისინი გამოტოვებული ფრაგმენტების ნაცვლად ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

- (ა) (1)→(2) (ბ) (2)→(1) (გ) (1)→(3) (დ) (3)→(1) (ე) (3)→(2)

42. მსროლელმა მიზანს სულ 8-ჯერ ესროლა. ამ 8-დან ნებისმიერი 4 გასროლისას მან ერთხელ მაინც მოახვედრა მიზანს.

შემდეგი ოთხი პირობიდან რომელი ორია საკმარისი იმის დასადგენად, სულ რამდენჯერ მოახვედრა მიზანს მსროლელმა?

- I. 1-ლი და მე-2 გასროლისას მსროლელმა მიზანს მოახვედრა.
- II. მე-3 გასროლისას მსროლელმა მიზანს ააცილა, მე-4 გასროლისას კი მოახვედრა.
- III. მე-5 და მე-6 გასროლისას მსროლელმა მიზანს მოახვედრა.
- IV. მე-7 და მე-8 გასროლისას მსროლელმა მიზანს ააცილა.

- (ა) I და II
- (ბ) I და III
- (გ) I და IV
- (დ) II და III
- (ე) II და IV

ტესტის დასასრული

წაკითხულის გააზრება

ლოგიკური მსჯელობა

რაოდენობრივი მსჯელობა

№1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	№2	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42
----	---	---	---	---	---	---	---	---	---	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----